**ხელშეკრულება N59/1**
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

**ქ. თბილისი** **16 ივნისი 2016 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900 ),
მეორეს მხრივ, **შპს "Lucky Group"** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის **ზვიად თავართქილაძის** სახით (**მის:** ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. №57; **ტელ:** 2492244; **ს/კ:** 404880624; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22 ა/ა GE42TB7676836020100001),
"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010302) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის კინოინდუსტრიის ნაწილის („გადაიღე საქართველოში") განხორციელების მიზნით ჰოლივუდიდან ლოკაციის მენეჯერის დევიდ ორეილის (DAVID OREILLY) საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, ელექტრონული ავიაბილეთის (CPV60410000) შესყიდვა დანართი #1-ის შესაბამისად (შემდგომში - მომსახურება).
1.2. ავიაბილეთების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 17 ივნისისა.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **1150** (ათას ას ორმოცდაათი) ლარს.
2.2. მოწვეული სტუმრის მგზავრობის მიმართულებები, თარიღები და ფასები წარმოდგენილია დანართში #1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

## 3. მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება ელექტრონული ავიაბილეთების გამოწერის და მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შემოქმედებითი მეწარმეობის და მომსახურების განვითარების დეპარტამენტის უფროსს სოფიო ზენდიაშვილს, რომელიც არ იმყოფება "მიმწოდებელთან" ინტერესთა კონფლიქტში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე მათი უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 5 აგვისტოსი.
4.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

## 5. მხარეთა რეკვიზიტები

| "შემსყიდველი" | "მიმწოდებელი" |
|---|---|
| სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო" | შპს "Lucky Group" |
| დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი | დირექტორი |
| ანა კვარაცხელია | ზვიად თავართქილაძე |
| 204582763 | 404880624 |

დანართი #1

| # | სახელი და გვარი | მიმართულება | თარიღები | ღირებულება (ლარი) |
| --- | --- | --- | --- | --- |
| 1 | DAVID OREILLY | ლონდონი-თბილისი-ლონდონი | 27.06.2016-4.07.2016 | 1150 |
| | სულ: | | | 1150 |

"შემსყიდველი"

სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო"
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ანა კვარაცხელია

"მიმწოდებელი"

შპს "Lucky Group"
დირექტორი

ზვიად თავართქილაძე